ბრძანება № 1-24

გორი 12 04 2023წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ რექტორის 2023 წლის 04 აპრილის N1-20 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ რექტორის 2023 წლის 04 აპრილის N1-20 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის მიერ პროექტების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება განხორციელდეს 2023 წლის 06 აპრილიდან 2023 წლის 26 აპრილის ჩათვლით.“.

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორჯენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი